საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო"-ს დირექტორის

# ბრძანება № 54

07 ივნისი 2013 წელი

ქ.თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის, საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №225/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დებულების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების თანდართული წესი .
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ.თბილისი დ.უზნაძის ქ.№52) ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (დ.აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ №6).

დირექტორი გიგა უმეკაშვილი

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების და კანდიდატის შერჩევის მიზნით სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოვლენის წესს.

2. სააგენტოში კონკურსი ტარდება ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, კოლეგიურობის და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით.

3. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს სააგენტოს მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში – კომისია).

## მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

2. კონკურსის ამოცანებია: კანდიდატის პროფესიული დონის, შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების, კვალიფიკაციის შეფასება და დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

## მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, საჯარო კონკურსს სააგენტო აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით .

2. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10 დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი.

3. კონკურსის გამოცხადების ხარჯებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებს სააგენტო.

4. შეტყობინება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) დაწესებულების დასახელებას, კონკურსის წესით შესავსები თანამდებობების დასახელებას და რაოდენობას;

ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს (ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები);

გ) შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობას;

დ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობას;

ე) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და წარდგენის ვადას;

ვ) კომისიის მისამართს და ელექტრონული ფოსტის მისამართს;

5. კომისიის სხდომა ტარდება კონკურსის გამოცხადების დღიდან არა უადრეს 10 დღისა.

6. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კანდიდატთა ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით.

მუხლი 4 კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა

კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით.

მუხლი 5. კონკურსისათვის წარსადგენი საბუთები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კანდიდატის ფოტოსურათიანი Curriculum Vitae (CV);

ბ) განათლებისა ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.

2. კონკურსის გამოცხადებისას შესაძლებელია დაადგინდეს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში დამატებით წარდგენილ უნდა იქნას სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმებისა და ნასამართლობის შესახებ ცნობები.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების პროცედურა

1. კონკურსს ატარებს სააგენტოს მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

2. კონკურსის პროგრამას, ფორმებს, პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს სააგენტოს მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია სააგენტოს დირექტორთან შეთანხმებით.

3. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებისათვის კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს შექმნას კომისიის სამდივნო.

მუხლი 7. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს სააგენტოს დირექტორის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

2. სააგენტოს მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი ინიშნება სააგენტოს დირექტორი ან მისი მოადგილე.

მუხლი 8. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობა

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ დამოუკიდებელი სპეციალისტები.

2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

3. მოხელე არ შეიძლება იყოს იმ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი ატესტირება.

4. კომისიის წევრებს შორის უფლება-მოვალეობებს ანაწილებს და კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

7. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

8. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

10. კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს შექმნას კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 9. კონკურსის შედეგები

1. კონკურსის შედეგების მიხედვით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

2. კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო თანამდებობაზე დამნიშვნელ პირს - კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის შესახებ.

3. თუ კომისიამ უარი განაცხადა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე ან ამ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად.

მუხლი 10. საპრეტენზიო კომისია

1.კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობასა და რაოდენობას განსაზღვრავს სააგენტოს დირექტორი.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის მოწვეულები). კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიაში.

3. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები.

7. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

9. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 11. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კონკურსის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.